ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის

სხდომის დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

სხდომის ჩატარების თარიღი: 2022 წლის 27 დეკემბერი, 10:00საათი

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ.

ბატონი არჩილ ტყაბლაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო
ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკოლოგიისა და მყარი
ნარჩენების განყოფილების ხელმძღვანელი

2. „ქალაქ ქუთაისში მესამე პირებისათვის პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემისას ყველა სახეობის პარკირების ადგილების სარგებლობისათვის, საჯარიმო სადგომზე გადაყვანისა და დგომისათვის საფასურის ზედა ზღვარის დადგენის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №79 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების ხელმძღვანელი

4. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ივანე ჟორჟოლიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბესიკ ბრეგაძისათვის საკრებულოს წევრისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 26

სხდომის ჩატარების დრო:

27 დეკემბერი, 2022 წელი.

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობის მე-2 სართულზე არსებული
სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი თეა ჯუღელი.

ესწრებოდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრები: დ. მხეიძე, გ.ბასილაძე, პ.ლილუაშვილი, ბ. მახარაძე, ბ.ქებულაძე.

სულ: 11 წევრიდან - 6 წევრი.

არ ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ლ.შალამბერიძე, თ.მესხი, რ. ქვაჩაკიძე.

სულ: 5 წევრი

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი თინათინ ბერიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი ირაკლი გიორგაძე, საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ივანე ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი იუზა უგულავა.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთ კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 26-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა ჯუღელმა წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 26-ე სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ

ბატონი არჩილ ტყაბლაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო
ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკოლოგიისა და მყარი
ნარჩენების განყოფილების ხელმძღვანელი

2. „ქალაქ ქუთაისში მესამე პირებისათვის პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემისას ყველა სახეობის პარკირების ადგილების სარგებლობისათვის, საჯარიმო სადგომზე გადაყვანისა და დგომისათვის საფასურის ზედა ზღვარის დადგენის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №79 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების ხელმძღვანელი

4. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ივანე ჟორჟოლიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის უფროსი

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბესიკ ბრეგაძისათვის საკრებულოს წევრისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

მან აქვე განმარტა: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-14 სხდომის დღის წესრიგის პროექტიდან გამომდინარე, კომისიის დღევანდელი სხდომის დღის წესრიგი შედგა ჩემ მიერ, წარმოდგენილი რედაქციით, რომელიც თითოეულ თქვენგანს წინასწარ დაგირიგდათ, მაგრამ იმის გამო, რომ „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის წარმდგენი პირი, ბატონი არჩილ ტყაბლაძე არ იმყოფება სხდომაზე, წინადადებით შემოვდივარ, იურიდიულ საკითხთა კომისიის დღევანდელი სხდომის დღის წესრიგის პროექტიდან ამოღებულ იქნეს აღნიშნული საკითხი.“

კომისიის წევრთა მიერ, კომისიის სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** კომისიის 26-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ლ.შალამბერიძე, თ.მესხი, რ. ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. ამოღებულ იქნეს კომისიის მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის პროექტიდან პირველი საკითხი: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ .

მუხლი 2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 26-ე სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს შემდეგი რედაქციით:

1. „ქალაქ ქუთაისში მესამე პირებისათვის პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემისას ყველა სახეობის პარკირების ადგილების სარგებლობისათვის, საჯარიმო სადგომზე გადაყვანისა და დგომისათვის საფასურის ზედა ზღვარის დადგენის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №79 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების ხელმძღვანელი

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ივანე ჟორჟოლიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის უფროსი

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბესიკ ბრეგაძისათვის საკრებულოს წევრისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-4 საკითხის - „ქალაქ ქუთაის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბესიკ ბრეგაძისათვის საკრებულოს წევრისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“

ზემოაღნიშნული საკითხთან დაკავშირებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** გააკეთა **ინფორმაცია. მან აღნიშნა:** „ჩვენ, კომისიის სხდომის დღის წესრიგში მე-5 საკითხად განსახილველი გვაქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი და ამავე დროს მგრძნობიარე საკითხი, რომელიც ჩვენი საკრებულოს 35 დეპუტატიდან ერთ-ერთის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტას ეხება. ამ შემთხვევაში საუბარია ბატონ ბესიკ ბრეგაძეზე, რომელსაც 6 თვის განმავლობაში არ მიუღია მონაწილეობა საკრებულოს მუშაობაში. კომისიის ყველა წევრს გადმოგეცათ ჩემს მიერ მომზადებული ამონარიდები საკანონმდებლო აქტებიდან, საქართველოს ორგანული კანონიდან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტიდან, სადაც არის ჩანაწერი, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

მცირე განმარტებას გავაკეთებ: კანონში არის ასეთი ჩანაწერი, ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებით, რომ თუ საკრებულოს წევრს ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ მიუღია მონაწილეობა საკრებულოს საქმიანობაში, დგება საკითხი, მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით, კანონში რამდენიმე ადგილზე არის ჩანაწერი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლში ვკითხულობთ, რომ საკრებულოს უფლებამოსილება არის საკრებულოს წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. 28[1]-ე მუხლში ვკითხულობთ, რომ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან, ხდება კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტაც, მე-40 მუხლში არის განმარტებული, რომ ვადამდე შეწყვეტა ხდება საკრებულოს გადაწყვეტილებით და 43-ე მუხლი უფრო აზუსტებს ამ საკითხს. აქ იმიტომ ვაკეთებ ამ განმარტებას, რომ საკრებულოს ძირითადი საქმიანობა არის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა. ჩვენ სახეზე გვაქვს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელშიც არის ორივე კომისიის ინფორმაცია, ამ შემთხვევაში რომელი კომისიების წევრიც არის ჯერ კიდევ ბატონი ბესიკი, ეს არის საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისია, თუმცა, კომისიების მუშაობაში რომც მიეღო მონაწილეობა და ყოფილიყო ასეთი ფაქტი, უშუალოდ, საკრებულოს სხდომებში მონაწილეობის არ მიღება მაინც არის იმის საფუძველი, რომ შეწყდეს

მისი უფლებამოსილება ვადამდე. კანონმდებელს პირდაპირ უწერია, რომ საკანონმდებლო საქმიანობას ეწევა საკრებულო, საკრებულო ამ საქმიანობას ეწევა სხდომებზე. მე იმიტომ ვაკეთებ ამ განმარტებას, რომ ჩვენ, გუშინ მივიღეთ დამატებით ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ (აპარატმა მიიღო და გადმომიმისამართა) წერილი, სადაც წერია, რომ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრბი პოლიტიკური ბოიკოტის რეჟიმში არიან გადასული. პოლიტიკური ბოიკოტი ჰგავს სკოლის მოსწავლეების შატალოზე წასვლას. ეს არ არის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედება, ეს არ არის არც საპატიო მიზეზი, ეს არის მათი განწყობის გამოხატვა, მათი დამოკიდებულების, მათი ნება არის გამოხატული და როგორც ნებავთ, საქმიანობის განხორციელება ან არ განხორციელება არის მათი გადასაწყვეტი. ჩვენი გადასაწყვეტია ჩაითვლება თუ არა ეს საპატიოდ ან არასაპატიო მიზეზად. მე ვფიქრობ, რომ შემთხვევითი არ იყო ეს წერილი და ამიტომ ვაკეთებ ამაზე აქცენტს. საკრებულოს წევრი შენობაში იქნება და არ შემოვა საკრებულოს სხდომაზე, ქვეყანაში იქნება თუ არ იქნება, სადაც არ უნდა იყოს, თუ ის საკრებულოს სხდომაში არ იღებს მონაწილეობას 6 თვის მანძილზე ზედიზედ, პირდაპირ არის კანონში მითითებული, რომ ეს არის უდაოდ მიზეზი, უფლებამოსილების შეწყვეტისა. მით უმეტეს, სახეზე გვაქვს, რომ არც ერთ კომისიაში არ არის დოკუმენტბრუნვა მის სახელზე. ერთადერთი მოქმედება, რომელიც ბატონ ბესიკს აქვს განხორციელებული ამ პერიოდის განმავლობაში, არის ფრაქციაში მისი გაწევრიანება. ამ შემთხვევაში ეს არ არის საქმიანობა, ეს არის მისი უფლება, ჩვენ გვაქვს ბევრი უფლება თითოეულ წევრს, მაგრამ მოვალეობები არის სავალდებულო განსახორციელებელი. მეორე ის არის, რომ ფრაქციაში გაწევრიანების ცნობად მიღებაზე უარს ჩვენ ფიზიკურად ვერ ვიტყოდით. გვაცნობა ფრაქციამ, რომ შევიდა ფრაქციაში პირი. ჩვენ არავითარი უფლება არ გვქონდა უარის თქმის, თუმცა, ეს არ არის მისი ვალდებულებების შესრულების მანიშნებელი. ასევე მას შეუძლია გამოვიდეს და შევიდეს ფრაქციაში რამდენჯერმე წლის მანძილზე და ეს არ იქნება საპატიო მიზეზად ჩათვლილი, ასევე არ იქნება საქმიანობის განხორციელებად ჩათვლილი. ამიტომ, ვფიქრობ, რომ კანონის მიხედვით, სწორად თუ განვმარტეთ, დგება საკითხი მისთვის უფლებამოსილების შეწყვეტისა. ჩვენ გვაქვს დოკუმენტები წარმოდგენილი 2022 წლის 20 ივნისიდან 20 დეკემბრის ჩათვლით, ბატონ ბესიკ ბრეგაძეს არ მიუღია მონაწილეობა საკრებულოს სხდომებში, არც ერთი კომისიის სხდომაში და არ არის მასთან დაკავშირებული საკითხები შესული საკანცელარიო ბრუნვაში. მოგეხსენებათ ჩვენ ონლაინ სხდომებს აღარ ვატარებთ და აღარც ონლაინ არ ვმუშაობთ. მისი არმონაწილეობის

დამადასტურებელი არის ოქმები, რომლებიც ჩვენ გვაქვს. 2022 წლის 17 ივნისი არის ბოლო სხდომა, როდესაც ბატონი ბესიკი იყო სხდომაზე. "

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** კომისიის სხდომაზე წარმოადგინა **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბესიკ ბრეგაძისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ"** **დასკვნის** შემდეგი პროექტი:

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია აღნიშნავს, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბესიკ ბრეგაძე ზედიზედ, ექვსი თვის განმავლობაში, არ იღებს მონაწილეობას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით მონიჭებული უფლებით, გაარკვია, რომ იგი 2022 წლის 20 ივნისიდან 2022 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, არ დასწრებია საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების სხდომებს. ამ ხნის მანძილზე, შეკითხვის წესით არ მიუმართავს საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსათვის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის, ან სხვა თანამდებობის პირისათვის, არ დაუყენებია საკითხი საკრებულოს აპარატისათვის სათანადო ინფორმაციის მოთხოვნით ან ორგანიზაციულ-ტექნიკური მომსახურებით უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით, არცერთი წინადადება ან სამართლებრივი აქტის პროექტი არ წარმოუდგენია ინიციირების წესით საკრებულოსათვის განსახილველად, დოკუმენტალურად არ დასტურდება მის მიერ ამომრჩეველთა მიღებისა და მათ წინაშე ანგარიშის წარდგენის ფაქტები. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში წარმოდგენილია ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" N5 და N6 ოქმები, სადაც ნათლად ჩანს, რომ ბატონ ბესიკ ბრეგაძეს არც ამ სხდომებში მიუღია მონაწილეობა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ დოკუმენტურად დადასტურებულია ის ფაქტი, რომ ბატონი ბესიკ ბრეგაძე 2022 წლის 20 ივნისიდან 2022 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N1 დადგენილების დანართის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე, ბესიკ ბრეგაძეს ვადამდე ადრე უნდა შეუწყდეს საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, კერძოდ, კი, საკრებულოს მიერ, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მომდევნო დღიდან."

ქალბატონმა **თეა ჯუღელმა აქვე აღნიშნა:** „სამწუხაროდ, ბატონი ბესიკის ფრაქციის წარმომადგენლები არ ესწრებიან ამ სხდომას. შესაძლოა, მათ აქვთ რაიმე განსხვავებული აზრი, რასაც სხდომაზე არდასწრების გამო, ვერ გამოთქვამენ. თუმცა, კანონს აქვს ერთი განმარტება და ცალსახა. მე ზუსტად ვიცი, რომ ეს საკითხი სასამართლოში წავა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამ საკითხს სხვაგვარად ვერავინ ვერ განმარტავს. "

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრი, ბატონი დიმიტრი მხეიძე: „ერთს ვიტყვი ბოიკოტთან დაკავშირებით. უბრალოდ, შეიძლება ბოიკოტი გამოაცხადო კერძო სტრუქტურაში როდესაც მუშაობ ადამიანი, როცა რაღაც პირობები არ გაკმაყოფილებს. როდესაც შენ ხარ საჯარო მოხელე, დაქირავებული ხარ ხალხის მიერ, ან ხარ ხალხის მიერ არჩეული საკრებულოს წევრი, შენ ამ შემთხვევაში ბოიკოტს უცხადებ არა საკრებულოს, არამედ ხალხს, ვინც ხმა მოგცა, ასევე, იმ ხალხს, რომელიც ელოდება ყოველდღიურად სიტუაციის გაუმჯობესებას ტრასპორტის მიმართულებით, ინფრასტრუქტურის მიმართულებით. ეს ბოიკოტი არ არის, თქვენ სწორად დაარქვით, ამას უფრო შატალო ქვია. ჩემი აზრით, უფრო უნდა გამკაცრდეს სანქციები იმ ხალხის მიმართ, ვინც ბოიკოტს უცხადებს ხალხს, მოსახლეობას, ამომრჩეველს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრი, ბატონი ბექა ქებულაძე: „ერთ რაღაცას დავაზუსტებ, 6 თვე, რაც არის კანონმდებლობით გათვალისიწნებული, ჩემი აზრით, დიდი არის, იმიტომ, რომ როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ჩვენი ამომრჩევლების წინაშე პასუხისმგებლობაზე, აუცილებელია, კეთილსინდისიერად და თანმიმდევრულად შევასრულოთ ჩვენზე, მათგან დაკისრებული უფლებამოსილება. 6 თვე, მიმაჩნია, რომ არის საკანონმდებლო ხარვეზი, ამით, ჩვენ ვაძლევთ შესაძლებლობას, საკრებულოს წევრს, რომ 6 თვის განმავლობაში არ მიიღოს მოქალაქე, არ მოუსმინოს, არაფერი გაუკეთოს და ა.შ. მით უმეტეს, მაჟორიტარი არის ბატონი ბესიკი და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე არის საუბარი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრი, ბატონი დიმიტრი მხეიძე: „ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ ორგანული კანონი მიუთითებს, რომ საკრებულოს წევრს უფლებამოსილება უწყდება თუ ის, ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ მონაწილეობდა საკრებულოს მუშაობაში. მუშაობა მარტო ის არ არის, მოვიდეს და საკრებულოს ან კომისიის სხდომებს დაესწროს. არამედ, აქტიური უნდა იყოს. ხალხთან შეხვედრები უნდა გამართოს, ანგარიში ჩააბაროს ამომრჩევლებს და ა.შ. მით უმეტეს, მაჟორიტარია. მხოლოდ მაჟორიტარზე არ მაქვს საუბარი, ყველა აქტიური უნდა იყოს, ინიციატივები უნდა ჰქონდეს და რაღაცით გამოირჩეოდეს, როგორც ყველა ჩვენთაგანი".

ამის შემდეგ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** წარმოადგინა **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბესიკ ბრეგაძისათვის საკრებულოს წევრისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ"** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების შემდეგი პროექტი:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 28^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14

ივლისის N1 დადგენილების დანართის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების, 27[1] მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე:

მუხლი 1. შეუწყდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება ვადამდე, 2022 წლის 29 დეკემბრიდან, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, ბესიკ ბრეგაძეს არასაპატიო მიზეზით, ზედიზედ, 6 თვის განმავლობაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობის მიუღებლობის გამო.

მუხლი 2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების წევრს, ბესიკ ბრეგაძეს შეუწყდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების წევრის უფლებამოსილება ვადამდე, 2022 წლის 29 დეკემბრიდან.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა
განკარგულების დედანს თან ერთვის)

მუხლი 3. წინამდებარე განკარგულება გაეგზავნოს N59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიას.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის **თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ლ.შალამბერიძე, თ.მესხი, რ. ქვაჩაკიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მიღებულ იქნეს დასკვნა **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბესიკ ბრეგაძისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **თეა ჯუღელის** მიერ კომისიის 26-ე სხდომაზე წარმოდგენილი შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია აღნიშნავს, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბესიკ ბრეგაძე ზედიზედ, ექვსი თვის განმავლობაში, არ იღებს მონაწილეობას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით მინიჭებული უფლებით, გაარკვია, რომ იგი 2022 წლის 20 ივნისიდან 2022 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, არ დასწრებია საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების სხდომებს. ამ ხნის მანძილზე, შეკითხვის წესით არ მიუმართავს საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსათვის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის, ან სხვა თანამდებობის პირისათვის, არ დაუყენებია საკითხი საკრებულოს აპარატისათვის სათანადო ინფორმაციის მოთხოვნით ან ორგანიზაციულ-ტექნიკური მომსახურებით უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით, არცერთი წინადადება ან სამართლებრივი აქტის პროექტი არ წარმოუდგენია ინიციირების წესით საკრებულოსათვის განსახილველად, დოკუმენტალურად არ დასტურდება მის მიერ ამომრჩეველთა მიღებისა და მათ წინაშე ანგარიშის წარდგენის ფაქტები. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში წარმოდგენილია ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ N5 და N6 ოქმები, სადაც ნათლად ჩანს, რომ ბატონ ბესიკ ბრეგაძეს არც ამ სხდომებში მიუღია მონაწილეობა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ დოკუმენტურად დადასტურებულია ის ფაქტი, რომ ბატონი ბესიკ ბრეგაძე 2022 წლის 20 ივნისიდან 2022 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, არასაპატიო მიზეზით ზედიზედ

6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N1 დადგენილების დანართის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ბესიკ ბრეგაძეს ვადამდე ადრე უნდა შეუწყდეს საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, კერძოდ, კი, საკრებულოს მიერ, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მომდევნო დღიდან.“

მუხლი 2. აღინიშნოს, რომ **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბესიკ ბრეგაძისათვის საკრებულოს წევრისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მომზადებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 3. წარედგინოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 27 დეკემბრის მე-20 სხდომას განსახილველად:

1. **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბესიკ ბრეგაძისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“** დასკვნა ზემოაღნიშნული რედაქციით, თანდართულ მასალებთან ერთად.
2. განკარგულების პროექტი **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ბესიკ ბრეგაძისათვის საკრებულოს წევრისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, თეა ჯუღელის მიერ წარმოდგენილი შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის

დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N1 დადგენილების დანართის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების, 27^1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე:

მუხლი 1. შეუწყდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება ვადამდე, 2022 წლის 29 დეკემბრიდან, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, ბესიკ ბრეგაძეს არასაპატიო მიზეზით, ზედიზედ, 6 თვის განმავლობაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობის მიუღებლობის გამო.

მუხლი 2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების წევრს, ბესიკ ბრეგაძეს შეუწყდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების წევრის უფლებამოსილება ვადამდე, 2022 წლის 29 დეკემბრიდან.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა
განკარგულების დედანს თან ერთვის)

მუხლი 3. წინამდებარე განკარგულება გაეგზავნოს N59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიას.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა ჯუღელმა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 26-ე სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების

განხილვის დამთავრების გამო, კომისიის 26-ე სხდომის მუშაობა დასრულებულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 26-ე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ

საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თეა ჯუღელი